დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია ომიაძე
წევრები:
ელენე კაკაბაძე
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
თეა ბარამაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204859705

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის №726645 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლაში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 11 და 12 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის №54 საჯარო სკოლაში (მის: თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა.
შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები.
სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და ფეხბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება, თუმცა რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება.
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით.
უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მოგვეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ შესაბამის აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს იმ მიზნით, რომ სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.
ექსპერტები ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვისა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
გრაფიკული დიზაინი	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირისა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება, ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება და განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ იგეგმება ხარისხის, სასწავლო პროცესის მართვის და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული მხარდაჭერის სპეციალისტის შტატით დასაქმება. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა წინარე ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია რეესტრზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მხარდამჭერი სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. **შესაბამისად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

4.1.1.2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძანება №2-204; 14.06.2024), თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. დაწესებულებას დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, გაწერილია სტანდარტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის, აქტივობები და თარიღები. **ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1.3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს,

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. ამასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები დაკისრებული აქვს სკოლის ერთ-ერთ პედაგოგს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.

ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.3. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2.2.1.1. ***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.***

დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A და B გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებულ ზოგადი მოდული, „სპორტი“ მოიცავს კალათბურთისა და ფეხბურთის კომპონენტებს. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართან შესაბამისობის გეგმა (17.06.2024. N1/კ-64) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 20 ივნისის N714411 კორესპონდენცია, სადაც იგი მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, (ასლი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს), რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 21 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 7 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის გეგმა, სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირების, აქტივობებისა და თარიღების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინი“ მდგრადობისთვის, სასურველია მეორე განმახორციელებელის მოძიება შემდეგ დარგობრივ მოდულებზე: UI_UX პრინციპები და შესავალი, 2დ ანიმაციის პრინციპები, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინში (AI, AR, VR), გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და 3 განზომილებიან გრაფიკაში, დიზაინის პრინციპების გამოყენება, ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა, პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული განმახორციელებელი პერსონალის მობილიზების/განვითარების ფარგლებში.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების ფლობისა და გამოყენების უნარების ჩამოყალიბება, სამშობლოს მოყვარული, ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდა. სკოლის მისიაა ღირსეული მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის აღზრდაში წვლილის შეტანა. ზსდ ორიენტირებულია განახორციელოს შრომის ბაზრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელებითაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. სკოლიის მისიის თანახმად ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ უპასუხონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადებით ხელი შეუწყონ ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიზანს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტი პროფესიული განვითარება.**ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

2. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლის მისიიდან იკვეთება დაწესებულების პროფილი - ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. ზსდ ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით ადაპტირდეს თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებთან. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი. **ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან.**

3. სკოლის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებებიც, რომელიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს. სკოლის ხედვაა 2030 წლისთვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად იყოს დაფუძნებული თანამედროვე სტანდარტებზე, წარიმართოს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური გუნდის მიერ ციფრული ტექნოლოგიების რაციონალური გამოყენებით. სკოლის კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა - 80-90 % აღჭურვილი იყოს საჭირო ცოდნითა და უნარებით, თავისი პიროვნული ღირსებებით, კეთილსინდისიერებითა და კომუნიკაბელურობით, რომლებიც მიაღწევენ დასუხულ მიზნებს და რეალიზებულნი იქნებიან პროფესიაში.
სკოლის ღირებულებები კი ითვალისწინებს:
   - გუნდორობას;
   - დემოკრატიულობას;
   - ინოვაციურობას;
   - ადამიანის უფლებათა და ღირსების დაცვას;
   - განვითარებაზე ორიენტირებულობას;
   - კეთილსინდისიერებას;
   - გამჭვირვალობასა და ღიაობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლაში დასაქმებულ პირთა მუდმივ განვითარებასა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობას;
- შესაძლებლობების რეალიზებას.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან და ხელს უწყობს მისიის მიღწევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. კოლეგიალური ორგანოების, პედაგოგიური და სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმების საფუძველზე განხორციელებულია ცვლილება სკოლის ერთწლიან სამოქმედო, შვიდწლიან სტრატეგიულ დაგეგმარების დოკუმენტში, მისიასა და ხედვაში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ. ამასთან, მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მათი საჯაროდ გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.

ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა ღირებულებებით
- სკოლის ვებგვერდით: https://skolebi.emis.ge/schools/187?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%20%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9654%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებთან.
სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ორგანიზება, აპლიკანტთა შერჩევა, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, სსსმ და შშშმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი, მატერიალური რესურსის გამოყენების, შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები და სხვა. შემუშავებულია სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში), რომლითაც გარანტირებულია სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლები განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის გარემოებებს, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. დებულების 42-ე, 43-ე, 44-ე მუხლები უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან. მე-60, 61-65-ე მუხლები არეგულირებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლებს, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს და ვადებს, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“ სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-202 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის წახალისების მექანიზმებს, პროფესიული სტუდენტის ვალდებულებებისა და დისციპინური პასუხისმგებლობის საკითხებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 48-ე და 49-ე მუხლები განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლა უზრუნველყოფს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულმა სტუდენტებმა გაიცნონ ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას გაუწევს დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი). ზსდ-ს მიერ დამტკიცებული დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება მას შიდა პროცესების ადაპტაციაში, სერვისების სახეების გაცნობასა და პროცესებზე პასუხისმეგებელი პირების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით, რომელშიც დეტალურადაა არწერილი ზსდ-სა და პრფოფესიული სტუდენტის უფლება - მოვალებოები და პასუხისმგებლობის საკითხები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემისა და თავის მხრივ, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. გარდა ამისა, დებულება მოიცავს სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარების შესაძლებლობას, პერმანენტულად, სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში დაორგანიზებული იქნება რიგგარეშე შეხვედრები იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას ზსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის. აღნიშნულ შეხვედრებზე დასწრება მოიაზრებს სხვადასხვა მხარდამჭერი საკითხების განხილვასა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებების რეალიზებას. ამასთან, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის კონსულტირების საკითხს, მათ შორის შეფასების სისტემაზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადებას, გათვალისწინებული იქნება მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკაც. ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საკითხები, პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა მექანიზმები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, რომლის 71-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სპეციფიკა. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სპეციალისტი, სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობებით (ბრძანება №2-202, 14.06.2024);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით (ბრძანება №2-197, 14.06.24);
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტით;
- შინაგანაწესით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
   მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვასა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით.
დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიების, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებისა და დოკუმენტების განახლების ვადები და აქტივობები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო აღწერილობებისა და განახლებული დოკუმენტაციის გზით. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ იგეგმება ხარისხის, სასწავლო პროცესის მართვის და პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის შტატით დასაქმება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 4.1.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით.
დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიების, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებისა და დოკუმენტების განახლების ვადები და აქტივობები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო აღწერილობებისა და განახლებული დოკუმენტაციის გზით.
ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.2. მოთხოვნა - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებას 2024 წლის 14 ივნისის №2-201 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. განხორციელდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის პედაგოგი, რომელსაც შეთავსებული აქვს აღნიშნული საქმიანობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.**ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.3. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ.N2-204; 14.06.2024);
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძ.N2-201; 14.06.2024);
- წინარე შრომითი ხელშეკრულება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და ფუნციის დაკისრების შესახებ ბრძანება (ბრძ.N1/კ-60; 14.06.2024);
- ინტერვიუს შედეგებით.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-203 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის, პერსონალის შეფასების/თვითშეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, შეფასების შედეგების გასაჩივრება, პერსონალის წახალისებისა და განვითარების მექანიზმები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-203 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი: გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს ვაკანსიის განთავსებას დასაქმების პორტალზე - hr.gov.ge, ზსდ-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ა.შ. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-203 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, პედაგოგიური და სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმები. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი'' (ბრძ.N2-204; 14.06.2024);
- „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა" (ბრძ.N2-203; 14.06.2024);
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ. N2-206, 14.06.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	თბილისი, ზ.ფალიაშვილის, ქ. N59

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რასაც ადასტურებს მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, გრაფიკული დიზაინი ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ჯგუფებიდან გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერებზე მოთხოვნა ერთ-ერთ მაღალ მოთხოვნად განისაზღვრება (13%). 2022 წლის შრომის ბაზრის კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა პოპულარული სასწავლო მიმართულებები და ადვილად დასაქმებადი პროფესიები, რომელთაგან ერთ-ერთი გრაფიკული დიზაინია.

აღსანიშნავია, ასევე, ისიც რომ გრაფიკული დიზაინერის პროფესია იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას, მათ შორის საერთაშორისო ბაზარზე. ისეთ ცნობილ საერთაშორისო „ფრილანს“ დასაქმების საიტებზე, როგორიცაა “upwork” და „freelancer.com“, აქტიურად არის მოთხოვნა გრაფიკულ დიზაინერებზე. საერთაშორისო შრომის ბაზარზე, გრაფიკული დიზაინერის საშუალო წლიური შემოსავალი, გამოცდილების შესაბამისად, მერყეობს 43000$ დან 58000$ დოლორამდე. აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიურო (BLS) იუწყება, რომ გრაფიკული დიზაინერების, მათ შორის „ფრილანს„ დასაქმებულების საშუალო ხელფასი აშშ-ში არის $50,710, ხოლო სამუშაოს პერსპექტივა სავარაუდოდ გაიზრდება 3 პროცენტით 2021 წლიდან 2031 წლამდე. შესაბამისად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებით დგინდება, რომ არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სკოლის მისია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რითაც სკოლა ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეხმიანება სკოლის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია და წინააღმდეგობაში არ მოდის მასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია გრაფიკული დიზაინის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც სრულად შეესაბამება სკოლის პროფილს, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამის დაგეგმვასთან და შემუშავებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქამდე არ ჰქონია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება, პროგრამის შემუშავება და დანერგვა პირველ ეტაპზე განხორციელდა დაწესებულებაში დანერგილი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიისგან განსხვავებული პროცედურებით. თუმცა, სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დაზუსტდა, რომ სამომავლოდ, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის დამატება განხორციელდება სკოლაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების პროცედურების შესაბამისად. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა და მოსწავლეთა კრების ოქმები, რითიც დასტურდება, მეათეკლასდამთავრებული მოსწავლეები და მშობლები მზაობას გამოხატავენ აღნიშნულ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით, დადებითად აფასებენ პროფესიასთან დაკავშირებულ პერსპექტივებსა და მოლოდინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. გრაფიკული დიზაინის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო საფეხურის 10 კლასის დაძლევა. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული განათლების დაშვების წინაპირობის გარდა, დაწესებულებას სხვა დამატებითი პირობა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით არ გააჩნია. გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადა არანაკლებ 65 სასწავლო კვირაა. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების X თავი და 2024 წლის 14 ივნისის №2-205 ბრძანება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B სასწავლო გარემოების არსებობას, ინფრასტრუქტურისა და რესურსების გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.
გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია, სადაც მოეწყობა A და B გარემოები, პროფესიული და ინტეგრიებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის. აღნიშნული აუდიტორია განკუთვნილი იქნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლაბორატორიას, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ განხორციელებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კიდევ ერთი სასწავლო აუდიტორია, რომელიც საზიარო იქნება სკოლის მოსწავლეებთან. სკოლას ასევე აქვს ერთი შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც გამოიყენება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „სპორტის“ განხორციელებისათვის. სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობა შესაძლებლობას იძლევა სასწავლო ცხრილების დატვირთვა გამოყენებულ იქნეს, როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისათვის.
აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:
1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლებისმასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობას;
2. A/B სასწავლო გარემოს/თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცის გამტარუნარიანობას;
3. სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობას;
4. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამტარუნარიანობას.
აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კვოტა ჯამში განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება გეგმავს 1 მიღებაზე, წელიწადში 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის, ასევე პროფესიული მოდულებისათვის უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, „გრაფიკული დიზაინი“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის „საჯარო სკოლის წესდების” მე-21 მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ დამტკიცებულია უფლებამოსილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირის – სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-206 ბრძანებით. ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „გრაფიკული დიზაინი“ რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანთლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (14.06.2024. N2-206);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (14.06.2024. N2-197);
- ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A და B გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებულ ზოგადი მოდული, „სპორტი“ მოიცავს კალათბურთისა და ფეხბურთის კომპონენტებს. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართან შესაბამისობის გეგმა (17.06.2024. N1/კ-64) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 20 ივნისის N714411 კორესპონდენცია, სადაც იგი მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, (ასლი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს), რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 21 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 7 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირების, აქტივობებისა და თარიღების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხარებლის სურვილის შესაბამისად. ასევე ყველა ელექტრონული რესურსი განთავსებული იქნება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო კომპიუტერში. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 14 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-197 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 71-ე მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და ადმინისტრირების პროცედურები. ამასთან, სკოლა აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობასა და ადაპტაციასთან დაკავშირებით. ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლებისს სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება N2-206, 14.06.2024;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება N2-197, 14.06.2024;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები:

- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა;
- მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი;
- მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ;
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი ;
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით მიმდინარეობს სკოლის საქმიანობის შეფასება, რაც მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს, რესურსების უწყვეტ შეფასება/განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება კი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წამყვანი შემადგენელი ნაწილია. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, პროგრამა ჯერ არ შეფასებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-197 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-197 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-201 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებსაც დანართის სახით ერთვის 2 სასწავლო გეგმა, არაინტეგრირებული და ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და თემატური წინაპირობები. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ, სასწავლო პროცესი წარიმართება სასწავლო გეგმის დაცვითა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-197 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, გაუწევს მათ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ მხარდაჭერას ცვლების გათვალისწინებით, სასწავლო განრიგების ადაპტაციითა და ა.შ. პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტს სათანადო კონსულტირებას გაუწევს სკოლის ადმინისტრაცია პროგრამის განხორციელების თავისებურებების, სასწავლო გეგმის, მოდულების, შეფასების პროცედურების, მათ შორის განმეორებით შეფასების შესაძლებლობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს სრული მზაობა სასწავლო პროცესის ხარისხიანად ორგანიზებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან/ელექტრონულ რესურსებთან, შესაბამისი პარამატრების მქონე კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში), რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია. ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ევაკუაცია. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და სარგებლობს დაცვის თანამშრომლის 24 საათიანი მომსახურებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში, როგორც სასწავლო, ასევე სამუშაო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- უსაფრთხოების ზოგადი წესები;
- ინტერვიურებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები, რომლის შესაბამისადაც სკოლა უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების ორგანიზებას. რეგულაციის შესაბამისად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, ხოლო შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. ამისათვის სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც დაეხმარება დაწესებულებას ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილი აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლის ვადით, ხოლო შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით. ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.08.2024 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: